ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარისა და თბილისის ზღვისუბნის (ნაძალადევი) მაჟორიტარის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის,

თამარ ტალიაშვილის

2019 წლის ანგარიში

დეპუტატი თამარ ტალიაშვილი - საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით, გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 და ბიუროს 19 სხდომა; მიღებულ იქნა 434 განკარგულება და 98 დადგენილება. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ ჩაატარა 21 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 24 საკითხი. დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 12 სხდომაში და განიხილა 13 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში თამარ ტალიაშვილმა, რომლიც ასევე, არის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, მონაწილეობა მიიღო კომისიის 11 სხდომაში და განიხილა 14 საკითხი. აღნიშნულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 18 სხდომა და განიხილა 23 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის თამარ ტალიაშვილი, გამართა კომისიის 14 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 18 საკითხი, მათ შორის:

1. **20 ნოემბერი, 2018 წელი**
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318319154-03; 15.11.2018).
2. **25 დეკემბერი, 2018 წელი**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318355197-03; 21.12.2018);
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318344134-03; 10.12.2018).
3. **25 იანვარი, 2019 წელი**
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-031902271-03; 22.01.2019).
4. **12 თებერვალი, 2019 წელი**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის“ განხილვა (# 12-031903982-03; 08.02.2019).

5. 21 თებერვალი, 2019 წელი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ინიცირება.
2. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა;

6. 1 მარტი, 2018 წელი

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319058156-03; 27.02.2019).

7. 11 აპრილი, 2019 წელი

- სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე.

8. 19 აპრილი, 2019 წელი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (N12-031905990-03);
2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის საკითხი“ (N12-031910897-03).

9. 24 მაისი, 2019 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (N12-031914291-03; 22.05.2019).

10. 25 ივნისი, 2019 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (12-0319171114-03; 20.06.2019).

11. 23 ივლისი, 2019 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031920332-03; 22.07.2019).

12. 7 აგვისტო, 2019 წელი

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის განხილვა

13. 13 სექტემბერი, 2019 წელი

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-0319247124-03; 04.09.2019).

14. 10 ოქტომბერი, 2019 წელი

- თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედაქალაქის ტურიზმის განვითარებისთვის.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში. იგი არის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრი:

1. თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განმხილველი კომისია.

სამართლებრივი ინიციატივები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა საანგარიშო პერიოდში დააყენა სამართლებრივი წინადადებებისა და აქტების პროექტების ინიცირების საკითხი, მათ შორის:

კანონპროექტის ინიცირების წინადადება საქართველოს პარლამენტისადმი - „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება“, რის საფუძველზეც, 2015 წლის 8 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო №11-42 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული დადგენილების პრაქტიკაში მოქმედებამ გამოავლინა, თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნების ტენდენციებთან შესაბამისად, ცნების- „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება)“- გაფართოების აუცილებლობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება)“ - „არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიცია“ - ცნებით ჩანაცვლების საჭიროება. არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია გულისხმობს ნებისმიერი მასალისგან დამზადებულ ხელოვნების ობიექტს, რომელიც მოიცავს სკულპტურას, ძეგლს (ქანდაკება), ობელისკს, ინსტალაციას (კონცეპტუალური ხელოვნების ობიექტს).

საკანონმდებლო ცვლილების მიზანია მუნიციპალურ ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატრული კომპოზიციების განთავსების წესმა თანამედროვე ხელოვნების განვითარების მოთხოვნებს უპასუხოს. საკანონმდებლო ცვლილებაში წარმოდგენილი ცნება სფეროს ექსპერტებთან, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციასთან და ხელოვანებთან ერთად შემუშავდა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ინიცირების საკითხი ორი მოსმენით განხილული და მხარდაჭერილი იქნა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტისა და რეგიონული პოლიტიკისა და

თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე. საკითხმა პირველი მოსმენით მხარდაჭერა მოიპოვა საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიის პლენარულ სხდომაზე.

ინიცირება მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილებისთვის თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების თაობაზე

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, მომზადდა ინიცირების პროექტი, რომლის თანახმადაც, ცვლილება შევიდა *„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში.*

დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზანი მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის სოციალური გარანტიების მიცემა და მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადგომის გაძლიერება წარმოადგენს.

ინიციატივის თანახმად, წესს დაემატა „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილები'' და მათ სხვა ჯგუფებთან ერთად, რეგისტრაციის უპირატესი საშუალება მიეცემათ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2017 წლის მონაცემებით, მარტოხელა მშობლის სტატუსი საქართველოში 2320 პირს აქვს მინიჭებული.

თბილისის მასშტაბით არსებული საჯარო სივრცეების ბაზა კულტურულ-სპორტულ-ახალგაზრდული პროექტებისა და ღონისძიებების მოწყობის მიზნით

განათლებისა და კულტურის კომისიის ერთ-ერთი რეკომენდაცია თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტისადმი გულისხმობდა კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების რუკისა და კალენდრის შექმნას, რაც მიზნად ისახავდა კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების დედაქალაქის მასშტაბით განშლის გზით, გარეუბნების გამოცოცხლებას.

თამარ ტალიაშილის ინიციატივით, კომისიის სამდივნომ, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით, შეადგინა თითოეულ უბანში არსებული საჯარო სივრცეების ბაზა, სადაც შესაძლებელია

კულტურულ-სპორტულ-ახალგაზრდული და სხვა სახის ღონისძიებების მოწყობა. აღნიშნული ბაზა გაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კურატორ მოადგილესა და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს. სწორედ მითითებულ მისამართებზე ეწყობა დედაქალაქის კულტურულ-ახალგაზრდული და გასართობი ღონისძიებები და ფესტივალები.

თბილისის კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის დოკუმენტი

თამარ ტალიაშვილის ინიციატივის შედეგად, 2019 წლის დასასრულისთვის თბილისს კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის დოკუმენტი ექნება, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურის მენეჯმენტის მდგრად განვითარებასა და სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

დეპუტატმა 2015 წლიდან თბილისის მერიის, საერთაშორისო ორგანიზაციების, შესაბამისი სამინისტროების, თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან დაიწყო კოორდინირებული და აქტიური მუშაობა აღნიშნული დოკუმენტის შექმნისთვის; წლების განმავლობაში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და არსებული მუნიციპალური კულტურული ობიექტების მოდერნიზების პროცესი; ჩატარდა მუნიციპალური კულტურული ობიექტების SWOT ანალიზი, ასევე, 2018 წელს თბილისის მასშტაბით ჩატარდა კვლევა სფეროს საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. 2019 წლის განმავლობაში თამარ ტალიაშვილისა და განათლებისა და კულტურის კომისიის ორგანიზებით არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა. მათ შორის:

- **შეხვედრა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებთან**

შეხვედრა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსთან“ თანამშრომლობითა შედგა, რომელშიც მონაწილეობა თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა, თბილისის მერიის, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

შეხვედრაზე დედაქალაქის კულტურის პოლიტიკაზე იმსჯელეს და მის მიზანს მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების პოპულარიზაცია, პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის გაძლიერება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და თბილისის განათლებისა და კულტურის ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტის შექმნა წარმოადგენდა.

- **შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან**

დეპუტატმა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრაზე, თბილისის კულტურის სტრატეგიულ ხედვებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით ისაუბრა.

შეხვედრა EUNIC-ის (European Union National Institutes of Culture) ფარგლებში შედგა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზღვარგარეთ კულტურის სფეროში მოღვაწე ინსტიტუტებს აერთიანებს.

- **შეხვედრა ჩინეთის დელეგაციასთან**

შეხვედრის მიზანს ჩინეთსა და საქართველოს შორის კულტურული ტურიზმის განვითარება წარმოადგენდა. მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების ახალ გზებზე, მათ შორის, ორმხრივი კულტურულ-საფესტივალო პლატფორმების შექმნის მეშვეობით.

შეხვედრაში დეპუტატთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, თბილისის მერის მრჩეველი სერგი გვარჯალაძე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძე, იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ცენტრის გენერალური მდივანი ლევან ხეთაგური და ჩინეთის თეატრის საერთაშორისო პროექტების მენეჯერი ვანგ ლინგი.

- **შეხვედრა ევროპის კულტურის პარლამენტის თავმჯდომარესთან, კარლ ერიკ ნორმანთან**

შეხვედრაზე, რომელზეც თბილისის კულტურის განვითარების სტრატეგიულ ხედვებსა და პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაზე იმსჯელეს, თამარ ტალიაშვილმა მოწვეულ ექსპერტს დედაქალაქის კულტურის განვითარების არსებული ტენდენციები, მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის პლატფორმების საშუალებით საქართველოს წარმოჩენის და ამ კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები გააცნო. კარლ ერიკ ნორმანმა სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებით

საკუთარი რეკომენდაციები წარმოადგინა და მისი შემუშავების პროცესში ჩართულობის მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, მაკა ნასრაშვილმა, კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა იური მღებრიშვილმა, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წარმომადგენელმა ლევან დვალმა, ,,სამეფო უბნის თეატრის'' წარმომადგენელმა ნიკა თავაძემ, ახმეტელის თეატრის წარმომადგენელმა ირაკლი გოგიამ და მსახიობმა გია ჯაფარიძემ.

- **შეხვედრა იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალურ დირექტორთან**

UNESCO თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალურ დირექტორსა და UNESCO უმაღლესი სათეატრო განათლების ქსელების პრეზიდენტს ტობიას ბიანკონთან შეხვდრაზე, დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა ისაუბრა თბილისის პოტენციალზე, გახდეს აბრეშუმის გზისა და აღმოსავლეთ ევროპის კულტურული ჰაბი და ამ მიზნის მიღწევისთვის გატარებული რეფორმების თაობაზე.

შეხვედრა პროექტის „საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში შედგა და მასში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის მერის მოადგილემ, სოფიო ხუნწარიამ, თბილისის მერის მრჩეველმა ღამის ეკონომიკის საკითხებში, სერგი გვარჯალაძემ, UNESCO-ს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ცენტრის გენერალურმა მდივანმა, ლევან ხეთაგურმა და საქართველოს ITI-ის ცენტრის დირექტორმა, დავით საყვარელიძემ.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში, დეპუტატმა თამარ ტალიაშვილა, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრმა და საქართველოს ადგულობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ვიცე-პრეზიდენტმა დედაქალაქში და მთლიანად ქვეყანაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისთვის არაერთი პროექტის ინიცირება და ორგანიზება მოახდინა, მათ შორის

ათეას გენდერული თანასწორობის პლატფორმის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების უზრუნველსაყოფად 2018 წლიდან შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო.

- **ევროპულ ქარტიას ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ საქართველოს 4 მუნიციპალიტეტი შეუერთდა**

კომპლექსური და კოორდინირებული მუშაობის შედეგად, 2019 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს 4-მა მუნიციპალიტეტმა - რუსთავი, ქუთაისი, ოზურგეთი და ლაგოდეხი - ხელი მოაწერა ევროპულ ქარტიას ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.

საქართველოდან პირველი მუნიციპალიტეტების ქარტიასთან მიერთებას წინ უძღვოდა თამარ ტალიაშვილის მიერ ინიცირებული პროექტი „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - ევროპული ქარტიის პრინციპები“, რომლის ფარგლებშიც, 2017 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონების მასშტაბით გაიმართა კონფერენციები.

საანგარიშო პერიოდში დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების მიზნით მონაწილეობა მიიღო არაერთ შეხვედრასა თუ ღონისძიებაში, მათ შორის:

- **თბილისის საკრებულო გენდერული ძალადობის 16 დღიან სამთავრობო კამპანიას შეუერთდა**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული ძალადობის მსოფლიო 16 დღიან სამთავრობო კამპანიას შეუერთდა, რის ფარგლებშიც ქალთა როლის გაძლიერებაზე შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებმა ისაუბრეს პოლიტიკაში და მმართველობით პოზიციებზე ქალთა როლის გაძლიერების საჭიროებაზე და ქართულ პოლიტიკაში ქალის როლისა და აქტუალურობის მზარდ დინამიკაზე.

შეხვედრაში საზოგადოებისთვის ცნობილი, სხვადასხვა პროფესიის ქალები მონაწილეობდნენ, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სოფო ჯაფარიძე; თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე მარიკა დარჩიამ, მწერალი ნინია სადღობელაშვილი, რეჟისორი ნინო

ლაპიაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ნინო ოძელაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა მოწვეული სტუმრები. შეხვედრას 150-მდე ქალი ესწრებოდა.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, რომელიც მიზნად 16 დღის განმავლობაში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული გამოწვევების აქტუალიზაციას ისახავს. 2018 წელს, საქართველოში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის თემას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

- **გენდერული საბჭოს წევრების შეხვედრა საქართველოში მოლდოვის დელეგაციასთან**

თამარ ტალიაშილი, თბილისის გენდერული საბჭოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარიკა დარჩიასთან ერთად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ მოლდოვის დელეგაციის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე გენდერულ საკითხებში საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე, გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის სპეციფიკასა და განხორციელებულ პროექტებს ისაუბრეს.

შეხვედრა „სასწავლო ვიზიტი ჟურნალისტებისთვის“ პროგრამის ფარგლებში შედგა, რომელიც შვედეთის მთავრობის მიერ იყო მხარდაჭერილი და შემადგენლობაში ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციის „რეზონანსი“ წევრები იყვნენ.

- **გენდერული საბჭოს წევრების შეხვედრა უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან**

თამარ ტალიაშვილი გენდერული საბჭოს წევრებთან ერთად უკრაინის ადგილობრივ თვითმმართველობათა წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც საბჭოს მუშაობის სპეციფიკასა და მისი გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კომპონენტებზე, მათ შორის, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, ქალთა უფლებებზე, ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტატისტიკის შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრაზე, რომელსაც ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ კოორდინატორი ელენე რუსეცკაია და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლები ესწრებოდნენ, თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს

წევრები და უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

- **გენდერული საბჭოს წევრების შეხვედრა NDI-ის წარმომადგენლებთან**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოსა და აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენლებს შორის შეხვედრაში, რომელზეც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საკრებულოს წევრებს მომავალ ქალთა პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გააცნეს. შეხვედრაზე გენდერული საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შესახებაც იმსჯელეს და საპილოტე პროგრამების შემუშავების საჭიროებაზე შეთანხმდნენ.

პრეზენტაცია სახელწოდებით „ფოკუს ჯგუფების შედეგები“ საქართველოს რამდენიმე ქალაქში ჩატარდა და მოსახლეობის გენდერულ განწყობების იდენტიფიცირებას ისახავდა მიზნად და მოიცავდა შემდეგი შინაარსის თემებს: გენდერი და დასაქმება, დეკრეტული შვებულება ქალებსა და მამაკაცებში, სექსუალური შევიწროება სამსახურში, ქალები სამხედრო სამსახურში.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მონიტორინგი

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, რისთვისაც, გარდა სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის, მომზადებისა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშების კომისიურ ფორმატში განხილვისა, აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან, რის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში მიღწეულ იქნა შემდეგი შედეგები:

- **თბილისი ბავშვზე მორგებული ქალაქების დეკლარაციას შეუერთდა**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროექტის “ბავშვზე მორგებული ქალაქების“ პირველ

საერთაშორისო სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გერმანიის ქალაქ კიოლნიში გაიმართა. სამიტის ფარგლებში, თბილისის მერმა კახა კალაძემ კიოლნის დეკლარაციას მოაწერა ხელი, რასაც მსოფლიოს 40 ქვეყნის 100-ზე მეტი ქალაქი შეუერთდა. დეკლარაცია მიზნად ისახავს ბავშვთა ცხოვრების, შესაძლებლობებისა და კეთილდღეობის დონის გაზრდას ქალაქებში და გულისხმობს ბავშვებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომელიც ასახვას ჰპოვებს კანონმდებლობაში, პოლიტიკაში, ბიუჯეტსა და გადაწყვეტილებებში. ბავშვზე მორგებული ქალაქი UNICEF-ის პროექტია, რომელიც 1996 წლიდან დაიწყო და 24 ქვეყანაში მოიცავს ცალკეულ რეგიონებსა და თვითმმართველ სუბიექტებს.

აღნიშნულ სამიტში მონაწილეობა და დეკლარაციაზე ხელმოწერა UNICEF-თან წარმატებული თანამშრომლობის შედეგია და წარმოადგენდა ლოგიკურ შედეგს იმ რეფორმებისა, რომელიც დედაქალაქმა გაატარა 2014 წლიდან.

- **თბილისის ბაგა-ბაღების 200-მდე მეთოდისტმა კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა და სერტიფიკატები გადაეცათ**

აღმზრდელ-პედაგოგის (მეთოდისტის) პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის გადამზადების კურსი განათლების სამინისტროს მიერ შემუშავდა, რომელიც საქართველოს მასშტაბით, 600-მა დასაქმებულმა გაიარა. გადამზადება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო და სააღმზრდელო პროცესში ახალი სტანდარტის სრულფასოვან დანერგვას ისახავს მიზნად. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში მულტიდისციპლინარული გუნდი მუშაობს, რომლის ფარგლებშიც ყველა ბაგა-ბაღს ლოგოპედის, სპეცპედაგოგისა და ფიქოლოგის შტატები დაემატა. საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია თანამედროვე ევროპულ სტანდარტებთან და ბავშვის მაქსიმალურად ეფექტურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

სერტიფიკატების გადაცემის ღონისძიება თბილისის საკრებულოში მოეწყო, რომელსაც მოდერაციას განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი უწევდა. მეთოდისტებს თამარ ტალიაშილთან ერთად სიტყვით მიმართეს და სერტიფიკატები გადასცეს: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა მარიკა დარჩიამ და ირაკლი ზარქუამ, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის

სააგენტოს დირექტორმა კახაბერ გვანცელაძემ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ბერიკა შუკაკიძემ.

- **საპილოტე პროგრამები თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თამარ ტალიაშვილი კომისიის წევრებთან ერთად **საპილოტე პროგრამის „ნეიროპლასტიურობა და განათლება“** შედეგებს ადგილზე გაეცნო, რომელიც თბილისის 74-ე საბავშო ბაგა-ბაღში განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და რეკომენდაციით დაინერგა, რასაც წინ უძღოდა პროექტის ავტორებთან საკრებულოში კომისიის სამდივნოს მიერ ორგანიზებული შეხვედრა. პროექტი ცენტრ „თანადგომის“ მიერ განხორციელდა და მოიცავდა ტრენინგებსა და პრაქტიკულ მუშაობას ბავშვებთან და შემდგომ - დამოუკიდებლად მუშაობის მონიტორინგს. აღნიშნული სასწავლო ტექნოლოგიები ეყრდნობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში ჩატარებულ კვლევებს. პროგრამის შედეგები კომისიის წევრების მიერ დადებითად შეფასდა.

საბავშვო ბაგა-ბაღების მეთოდოლოგიაში მენტალური არითმეტიკის ინტეგრირებასთან დაკავშირებით შეხვედრაზე, რომელშიც თამარ ტალიაშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ კომისიის წევრი გულია გოცირიძე, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი, კახაბერ გვანცელაძე და მენტალური არითმეტიკის სისტემის კონცეფციის (UCMAS) წარმომადგენელი საჰარ ჰარბი, საბავშვო ბაგა-ბაღების სწავლების არსებულ მეთოდოლოგიაში აღნიშნული პროგრამის საპილოტედ ინტეგრირებისა და არსებული კადრების გადამზადების შესაძლებლობებზე იმსჯელეს.

- **თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მიერ გაწეული სამუშაოების ერთი წლის ანგარიშის საჯარო განხილვები**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რაიონების საბავშვო ბაგა-ბაღების საჯარო პრეზენტაციებში, რომელზეც დეპუტატი საზოგადოებას ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ მუნიციპალიტეტის პოლიტიკასა და მიღწეულ შედეგებს აცნობდა. მიმდინარე წელს თბილისის მასშტაბით არსებული ყველა საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გათვალისწინებით, აღსაზრდელთა მშობლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

- **ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცესის ადგილზე გაცნობა**

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი დიდუბის რაიონში, რომლის მშენებლობას საფუძველი კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან, დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან, დიდუბის რაიონის მაჟორიტართან თარშ შურღაიასთან, გამგებელთან ირმა ზავრადაშვილთან და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან კახაბერ გვანცელაძესთან ერთად ჩაუყარა. საბავშვო ბაგა-ბაღი 300 აღსაზრდელს მიღებს და 60-მდე ადამიანს დაასაქმებს, მშენებლობა კი მიმდინარე წლის შემოდგომისთვის დასრულდება.

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი ისნის რაიონში - მშენებლობის პროცესს თამარ ტალიაშვილი მაჟორიტარ დეპუტატთან, ნინო ლაცაბიძესა და ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან, კახაბერ გვანცელაძესთან ერთად გაეცნო. ბაღში 77-მდე ადამიანი დასაქმდება და 350-მდე ბავშვი მიიღებს სკოლამდელი განათლების სერვისს.

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი ვარკეთილის მესამე მასივში - მშენებლობის პროცესი თამარ ტალიაშვილმა და სამგორის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი დოხტურიშვილმა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან, კახაბერ გვანცელაძესთან ერთად დაათვალიერეს. ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი 230-მდე აღსაზრდელსა და 60-მდე ადამიანის დასაქმებაზეა გათვლილი.

ოფიციალური და სამუშაო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თემატიკის ოფიციალურ თუ სამუშაო შეხვედრებში. მათ შორის:

- **კულტურის პროექტების ხელშეწყობის წესის სამუშაო შეხვედრაზე განხილვა**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, საჯაროობისა და საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შედგა კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ხელშემწყობი პროგრამის დაფინანსების ახალი წესის - *„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების*

წესების დამტკიცების თაობაზე“ - კომისიურ ფორმატში განხილვა ფესტივალებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წელს შეიმუშავა განათლებისა და კულტურის მიმართულებით პროექტების დაფინანსების წესი, რითაც პროცედურა ერთიან ჩარჩოში მოექცა და გამჭვირვალე გახდა. პრაქტიკამ გამოავლინა წესის გარდაქმნის საჭიროება, რათა ეპასუხა არსებული გამოწვევებისთვის. პროცესში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე მერიის შესაბამისი სამსახურებთან აქტიურად თანამშრომლობდა. შედეგად, მიღებული ახალი წესის სამუშაო ვერსიის პროექტი განათლებისა და კულტურის კომისიის სამუშაო შეხვედრაზე იქნა განხილული და გამოვლენილი შენიშვნები გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურს შემდგომი დამუშავებისთვის. აღნიშნული წესი 2019 წელს იქნა მიღებული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

- **შეხვედრა საქართველოში UNICEF-ის წარმომადგენობის ხელმძღვანელთან**

თამარ ტალიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესთან ერთად შეხვდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ღასან ხალილს.

შეხვედრაზე მხარეებმა ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს, ასევე, ბავშვთა უფლებების დაცვისა და სკოლამდელი განათლების კუთხით, სამომავლო გეგმები დასახეს.

- **UNICEF-ის რეგიონალური დირექტორის ოფიციალური მიღება საკრებულოში**

თბილისის საკრებულოში გაეროს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური დირექტორის და ევროპაში დევნილთა და მიგრანტთა საკითხებში სპეციალური კოორდინატორის, აფშან ხანის ოფიციალური მიღება გაიმართა.

მიღებაზე მისასალმებელი სიტყვით მოწვეულ სტუმრებს მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა. საღამოს ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები, ასევე, მოწვეული სტუმრები, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის წევრები და ელჩები.

- **შეხვედრა ერევნის საკრებულოს დეპუტატებთან**

დეპუტატმა, თამარ ტალიაშვილმა და თბილისის საკრებულოს ფრაქციის “ქართული ოცნება - მრეწველები” ხელმძღვანელმა, ლევან დარახველიძემ ერევნის საკრებულოს

დეპუტატებს უმასპინძლეს და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოში განხორციელებულ თვითმმართველობის იმ რეფორმაზე ისაუბრეს, რომელიც თვითმმართველობის ევროპულ ქარტიის პრინციპებს ეფუძნება. აგრეთვე მხარეებმა, იმსჯელეს კავკასიური დიალოგის ხელშეწყობაზე, რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებასა და საქართველოში არსებული გამოცდილებისა და რეფორმების შესახებ. შეხვედრა ევროპულ-ქართული ინსტიტუტისა და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ინიციატივით შედგა.

ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და შუამდგომლობით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- **რეპრესირებული პოეტის ვანლერ დაისელის პოეზიის საღამო და წიგნის პრეზენტაცია**

თბილისის საკრებულოში მე-20 საუკუნის რეპრესირებული პოეტის ვანლერ დაისელის წიგნის, „მზის სისხლი'' პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის შუამდგომლობითა და მერიის მხარდაჭერით გამოიცა. კრებული პოეტის დღემდე უცნობ ლექსებს, მინიატურებს, პირად ჩანაწერებსა და წერილებს აერთიანებს, რომელიც გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმსა და საქართველოს შსს სამინისტროს არქივშია დაცული. ვანლერ დაისელმა შექმნა ახალი პოეტური ორდენი, „სომნამბულიზმი''. პოეტი თავისი შემოქმედებით გმობდა რუსულ იმპერიალიზმს, უპირისპირდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და ღიად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, რისთვისაც ის გადაასახლეს. ისტორიული ცნობებით, ვანლერ დაისელი 36 წლის ასაკში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

საღამოზე თამარ ტალიაშილმა მწერლის შემოქმედების თემატიკიდან გამომდინარე, დააყენა წინადადება კრებულისა და პოეტის ბიოგრაფიული ჩანაწერების საქართველოს ოკუპაციის მუზეუმში განთავსებისა და თბილისის ერთ-ერთი უსახელო ქუჩისთვის, ვანლერ დაისელის სახელის მინიჭების.

- **წიგნის საჯაროდ კითხვის დღე თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, 2019 წელს უკვე მეოთხედ მოეწყო თბილისის მასშტაბით წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში და ის უკვე ტრადიციად დამკვიდრდა.

- **პროექტი „თბილისის მუზეუმების კვირეული“**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივითა და განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს ორგანიზებით, მუზეუმების კვირეულის ფარგლებში, პროექტი „თბილისის მუზეუმების კვირეული“ 2019 წელს უკვე მეორედ მოეწყო. პროექტი ა(ა)იპ „თბილისის მუზეუმების გაერთიანებასა“ და თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლობებთან ერთობლივი თანამშრომლობითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა და მის მიზანს თბილისის მუზეუმების მრავალფეროვან შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლეების ჩართულობა და ამ გზით, მათი პოპულარიზაცია და არსებული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა წარმოადგენს. კვირეულში თბილისის ათივე რაიონიდან 500-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

- **პროექტი „გადაწერე „ვეფხისტყაოსანი“**

დეპუტატ თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, დედა ენის კვირეულის ფარგლებში, საკრებულოში პროექტი „გადაწერე „ვეფხისტყაოსანი“ მოეწყო, რომელიც 2017 წლიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის შედევრის - „ვეფხისტყაოსანის“ გარშემო ძველი და ახალი თაობის გაერთიანებას.
„ვეფხისტყაოსნის“ გადაწერის შემდეგ თამარ ტალიაშვილმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძემ მრავალშვილიან დედებსა და მათ შვილებს თბილისის ისტორიული შენობა დაათვალიერებინეს.

- **საერთაშორისო არქიტექტურული ფესტივალი**

თამარ ტალიაშვილმა მე-7 საერთაშორისო არქიტექტურული ფესტივალის საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და ნომინაციაში „საზოგადოებრივი აზრი“ გამარჯვებულებს „არქიტექტურული პრემია 2018“ გადასცა. ფესტივალი „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ ინიციატივითა და ორგანიზებით, თბილისში 2006 წლიდან ტარდება.

- **სახელოვნებო სტუდია „გვირილას“ 25 წლის საიუბილეო საღამო**

საღამო, რომელიც ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და მეგობრობას ეძღვნებოდა წარმოდგენილი იყო სტუდია „გვირილას“ ისრაელში მიმდინარე წლის ივლისის საგასტროლე ტურნეს შედეგები.

მისასალმებელ სიტყვაში თამარ ტალიაშვილმა ყურადღება გაამახვილა იუნესკოს მიერ 2018 წელს ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი ურთიერთობის არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებაზე.

საღამოზე, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალისტი, ჯამლეტ ხუხაშვილი, სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, გია ვოლსკი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ლიკა გიგაური, ასევე მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევა ბაბალაშვილი.

- **პროექტის „თანამედროვე დიზაინი ტრადიციულ რეწვაში“ გახსნა და შედეგების გამოცხადება**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით 2015 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის საკრებულოში პროექტის „თანამედროვე დიზაინი ტრადიციულ რეწვაში“ გახსნის ცერემონია და შემდეგ, მისი შედეგების გამოცხადება გაიმართა, რომელზეც მისასალმებელი სიტყვით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი და კომისიის დეპუტატები გამოვიდნენ.

პროექტი „თანამედროვე დიზაინი ტრადიციულ რეწვაში“ თბილისის ახალი საბიუჯეტო პროექტის „შემოქმედებითი თბილისის“ ფარგლებში იქნა მხარდაჭერილი, რომელიც ახალ პლატფორმას წარმოადგენს და მიზნად ისახავს კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალურ აქტივობისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

- **თსუ-ს სტუდენტების მიღება თბილისის საკრებულოში**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით საკრებულოში 2014 წლიდან სისტემატიურად ხდება შეხვედრები სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ახალგაზრდული

საკრებულოს ფორმატში, რის ფარგლებშიც თბილისის საკრებულოს დეპუტატები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარიკა დარჩია, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი.

დეპუტატებმა სტუდენტებს თბილისი საკრებულოს ისტორიულ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში უმასპინძლეს და მათ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლზე ესაუბრნენ.

- **პროექტი „ჩვენი ეზოს თამაშები“ თბილისის სხვადასხვა უბნებში**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში პროექტი „ჩვენი ეზოს თამაშები“ მეორედ ჩატარდა, რომელიც კამპანიურ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს კომპიუტერული თამაშების ჯანსაღი, ხალისიანი ეზოს თამაშებით ჩანაცვლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მოზარდების ფიზიკურ-ემოციური, ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას და მათ ეზოებში დაბრუნებას.

2019 წლის შემოდგომაზე პროექტი თბილისის სხვადასხვა უბანში - ვარკეთილში, ჩუღურეთსა და ზღვისუბანში (თემქა) მოეწყო და მასში მონაწილეობა თბილისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა გიორგი დოხტურიშვილმა და რიმა ბერაძემ მიიღეს. სულ პროექტში 200-ზე მეტი ბავშვი ჩაერთო.

- **ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლის „რუსთავი“ 50 წლის საიუბილეო საღამო**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, თბილისის საკრებულოში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება გაიმართა, რომელზეც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, თბილისის მერმა, კახა კალაძემ, და თამარ ტალიაშვილმა ანსამბლ „რუსთავს“ და მის დამაარსებლებს, ანზორ ერქომაიშვილსა და

ფრიდონ სულაბერიძეს ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

საღამოზე ანსამბლ „რუსთავის“ წევრებმა, რამდენიმე მუსიკალური და საცეკვაო ნომრები შეასრულეს და თბილისის საკრებულოსა და მერიას საიუბილეო ანთოლოგიური გამოცემა „რუსთავი 50 – 400 ქართული ხალხური სიმღერა“ გადასცეს.

სამომავლო პროექტები

- **ქართული ტრადიციული მედიცინა - წარსულიდან მომავლისკენ**

თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, დაგეგმილია ღონისძიება „ქართული ტრადიციული მედიცინა - წარსულიდან მომავლისკენ“, რომლის მიზანს წარმოადგენს, ქართული მედიცინის საუკუნოვანი ისტორიისა და მისი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, წარმოჩენა. ღონისძიება მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის მომართვის საფუძველზე და მასთან თანამშრომლობით მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოეწყობა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისში განათლებისა და კულტურის სფეროს ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია აქტიურად მუშაობს პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებისთვის, რასაც ორგანიზებას უწევს კომისიის სამდივნო. საანგარიშო პერიოდში, კომისიის ჩართულობით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ შორის.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა, ა(ა)იპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA –

Georgia) და (შემდგომში ა()იპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA – Georgia)) სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს შორის.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდს შორის.

კორესპონდენცია

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა შეისწავლა და რეაგირება მოახდინა 980 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარეს, თამარ ტალიაშვილს პირადი შეხვედრის თხოვნით მომართა 100-ზე მეტმა მოქალაქემ. კომისიის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ მიღებებზე მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, პირადად განეხილათ საკუთარი საკითხი კომისიის თავმჯდომარესთან. გარდა ამისა დეპუტატი ხვდება ათეულობით მოქალაქეს და განიხილავს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს, სხვადასხვა საჯარო შეხვედრებსა თუ მიღებებზე.

თამარ ტალიაშვილის, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, მიერ 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თამარ ტალიაშვილი არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ვიცე-პრეზიდენტი. ასოციაციის მიზანია, ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფო ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციების განვითარება.

ასოციაცია თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ გაერთიანებებთან. „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“ (ათეა) არის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობათა პალატაში დელეგაციის წარდგენისას.

ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოში „CEMR” დელეგაციის ძირითად შემადგენლობას, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი - თამარ ტალიაშვილი ხელმძღვანელობს.

- **ევროსაბჭოს კონგრესის რეზოლუციაში „ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა როლი დევნილთა დაცვის საკითხებში“**

სტრასბურგში, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 37-ე პლენარულ სესიაზე „ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა როლი დევნილთა დაცვის საკითხებში“, რეზოლუცია და რეკომენდაციები მიიღეს, სადაც საქართველოსთან მიმართებით აღნიშნულია: „საქართველოს შემთხვევაში, ნახევარ მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან, რომლებიც 1990-იან წლებში შეიარაღებული დაპირისპირებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იქნენ გამოძევებული, კვლავ მოკლებულნი არიან თავიანთ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების ფუნდამენტურ უფლებას. საქართველოს ორ რეგიონში რუსეთის უკანონო სამხედრო ყოფნა არის მიზეზი გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა, ე.წ. ბორდერიზაციის

პროცესის გზით, რომელიც ართულებს წვდომას ჯანდაცვასა და განათლებაზე, ასევე, ოჯახებს შორის კავშირებს და ქმნის იძულებით გადაადგილების შემდგომი ტალღის წარმოქმნის რისკს.“

ამავე სესიაზე დეპუტატი, თამარ ტალიაშვილი გამოეხმაურა საქართველოს კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ლევან ხარატიშვილის მოხსენებას ,,კულტურა საზღვრების გარეშე". თამარ ტალიაშვილის თქმით, ევროპის კულტურულ მარშრუტებში საქართველოს ინტეგრაციისთვის, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი საინტერესო და ინოვაციური პროექტი განახორციელა.

თამარ ტალიაშვილმა, როგორც ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა და პროცედურულ საკითხებზე მომხსენებელმა, კონგრესის პროცედრებში შესატანი ცვლილებების შესახებ მოხსენებით გამოვიდა.

- **საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების 20 წლის, ევროსაბჭოს 70 წლისა და ევროსაბჭოს კონგრესის 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ცერემონია**

თბილისის საკრებულოში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) პრეზიდენტის, დედაქალაქის მერის - კახა კალაძის ინიციატივით, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების 20 წლის, ევროსაბჭოს 70 წლისა და ევროსაბჭოს კონგრესის 25 წლის იუბილეებისადმი მიძღვნილი ცერემონია გაიმართა, რომელსაც მოდერაციას დეპუტატი თამარ ტალიაშვილი უწევდა.

კონფერენცია საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებას ისახავდა მიზნად და მასში მონაწილეობას ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის გენერალური მდივანი ანდრეას კიფერი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნია და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ვაჰაგ მურადიანი. ასევე მონაწილეობას იღებდნენ ათეა-ს პრეზიდენტი და დედაქალაქის მერი კახა კალაძე, ვიცე-პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

- **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 35-ე სესია**

თამარ ტალიაშვილმა სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 35-ე სესიაზე - ,,ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლების ინტეგრაცია და ეთიკური ქცევა“ მიიღო მონაწილეობა სადაც ხმების უმრავლესობით, არჩეულ იქნა, როგორც ევროსაბჭოს კონგრესის რეგიონთა პალატის ვიცე-პრეზიდენტად.

სესიის ფარგლებში წარმოდგენილი იყო საქართველოში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის შესახებ მონიტორინგის დასკვნა, რომელიც კონგრესის წევრებმა დადებითად შეაფასეს და ერთხმად დაამტკიცეს. დასკვნაში ხაზგასმით არის აღნიშნული ამ მიმართულებით ქვეყნის პროგრესი და მიღწევები. თამარ ტალიაშვილმა, მონაწილეობა მიიღო დასკვნის წარდგენის შემდეგ გამართულ დისკუსია, რომელშიც ყურადღება გაამახვილა საქართველოს პროგრესზე და გატარებულ რეფორმებზე.

- **ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომა**

თამარ ტალიაშვილმა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომაზე თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის განხილვის აუცილებლობას საერთაშორისო გამოწვევების ჭრილში. აგრეთვე, გაეროს მდგრადი განვითარების გარემოს დაცვის მიზნების მიღწევაში ადგილობრივი ორგანოების როლსა და ეკოლოგიური პრობლემების ღია მმართველობის ფორმატში განხილვას.

ამავე სხდომაზე თამარ ტალიაშვილი არჩეულ იქნა კონგრესის წევრებმა კონგრესის ქარტიის, ნორმებისა და პროცედურების საკითხებში ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს მომხსენებლად.

- **ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრაზე**

თამარ ტალიაშვილმა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრაში, ქალაქ ბელგრადში კონგრესის ბიუროს წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დღის წესრიგით გათვალისწინებული 14 საკითხი განვიხილბაში, მათ შორის, ევროპის ოთხი ქვეყნის, ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის მონიტორინგის შედეგები. ასევე, წევრ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების სადამკვირვებლო მისიის

ანგარიშებზე, ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

- **ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომა**

თამარ ტალიაშვილმა ქალაქ ჰელსინკიში, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომაში გარემოსდაცვით საკითხებზე გაკეთებულ მოხსენებაში ხაზი გაუსვა დეცენტრალიზაციის რეფორმას და გაეროს მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევაში ადგილობრივი ხელისუფლების როლს. აგრეთვე, ურბანულ სივრცეში ეკოლოგიური გამოწვევების ეფექტიანი მართვისთვის „ღია მმართველობის“ ფორმატის მნიშვნელობას. დეპუტატმა კონგრესის ბიუროს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს თბილისის მაგალითზე მოქალაქეთა აქტიური ჩართულობითა და ეფექტიანი კომუნიკაციით გარემოსდაცვითი რეფორმის გატარების პრაქტიკა წარუდგინა.

- **ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) შეხვედრა**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა ქალაქ ბრიუსელში, მონაწილეობა მიიღო ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში “Power2Her” და მრგვალი მაგიდის შეხვედრაში თემაზე ,,გენდერული თანასწორობა ქალაქებში“, სადაც სიტყვით გამოსვლისას საქართველოს გამოცდილებაზე და ქალთა უფლებების დაცვის კუთხით გატარებულ რეფორმებზე ისაუბრა. დეპუტატმა ასევე ხაზი გაუსვა რეგიონში პირველი ქალი პრეზიდენტის არჩევის მნიშვნელობას და საპრეზიდენტო არჩევნებში ლიდერი ქალი კანდიდატის მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებს.

შეხვედრებში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის 60 წარმომადგენელი იღებდა. დამსწრე საზოგადოებას ევროპარლამენტის დეპუტატობის კანდიდატებმა, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა მიმართეს. აქცენტი დემოკრატიის მაღალი სტანდარტისა და კეთილდღეობის მიღწევის საქმეში, პოლიტიკის განმსაზღვრელ პოზიციებზე ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობის მნიშვნელობაზე გაკეთდა.

- **ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 36-ე სესია**

კონგრესის 36-ე სესიის ფარგლებში, როგორც ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა

ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა (NALAG), კონგრესის წევრებს წარუდგინა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ 1990 და 2008 წლებში გატარებული სამხედრო ქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატისტიკის შესახებ. ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის კოორდინირებულ მუშაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების სათანადო პოზიციონირებისთვის. ასევე, იმ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ გაეროსა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ საჭიროებათა ანალიზის შედეგად გამოვლენილ პრიორიტეტების საფუძველზე შეიმუშავა და გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის გზით დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას და დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდას მოიცავს.

დეპუტატმა გამოსვლაში აღნიშნა, რომ პროცესების ეფექტური მართვისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, კოორდინირებულად ახორციელებენ იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ადგილობრივი სერვისების შეთავაზებას, რის შედეგადაც საქართველოში, ყველა დევნილი, ფაქტობრივი საცხოვრებლის მიხედვით, სარგებლობს ადგილობრივი, კომუნალური, სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვითი, კულტურული და საგანმანათლებლო სერვისებით.

თამარ ტალიაშილი მოხსენებით წარსდგა ღია მმართველობის (OGP) ფორმატში, თბილისის ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით გატარებულ საკითხებთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის მიერ 2019 წლის მარტში დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე, როგორც გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებაზე. ასევე თბილისის მაგალითზე მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოორდინირებული ჩართულობის თაობაზე ისაუბრა და მონაწილეებს დედაქალაქის გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების კონკრეტული მაგალითები გააცნო.

- **ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომა**

თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბრიუსელში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესისა და რეგიონული კომიტეტის,

ასევე კონგრესის ბიუროსა და მისი პალატების 25 წლის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებებში.

კონგრესის ბიუროს სხდომაზე ევროპელი კოლეგებისადმი მიმართვაში დეპუტატმა ისაუბრა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე მორიგი ზეწოლის შესახებ, მათ შორის, საქართველოს მიმართულებით სამოგზაურო ტურების გაუქმების თაობაზე. აღნიშნულ სხდომაზე თამარ ტალიაშვილმა ევროპელ კოლეგებს ტურისტული ბაზრის დივერსიფიცირებაში მხარდაჭერის თხოვნით მიმართა და მისი მოწოდების შედეგად კამპანიაში „spend your summer in Georgia" ევროსაბჭოს წევრი სხვადასხვა ქვეყნის ათობით წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

- **ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომა**

თამარ ტალიაშვილმა ქალაქ ოსლოში გამართულ ევროსაბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობა მიიღო ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშები განხილვაში, ქართული დელეგაციის წევრებმა, უკრაინის წარმომადგენლებთან ერთად, გავაპროტესტეთ რუსეთის მონიტორინგის მისიის დასკვნაში ასახული საკითხი, რომლის თანახმადაც, ყირიმი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში იყო მოხსენებული. შედეგად, სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებასთან დაკავშირებით, რაც მოგვიანებით ასახვას ჰპოვებს დოკუმენტში. გარდა ამისა, კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს უნგრეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზეც და აზერბაიჯანსა და კვიპროსში წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასთან შესაბამისობის საკითხზე.

- **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ბიუროს სხდომა**

დეპუტატმა კონგრესის ბიუროს წევრებთან ერთად სხდომაზე იმსჯელეს 2021-2024 წლების კონგრესის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომლებმაც ევროსაბჭოსა და მისი წევრი ქვეყნების დღის წესრიგში არსებულ გამოწვევებს უნდა უპასუხოს. ამავე ვიზიტის ფარგლებში, დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო განხილვაში, რომელზეც შეთანხმდნენ, რომ ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 37-ე პლენარულ სხდომაზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან

ერთად წარმოდგენილი იქნება მოხსენება საქართველოს კულტურული მარშრუტების შესახებ.

- **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ცერემონია**

დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა, როგორც ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის ვიცე პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ცერემონიაში,ქალაქ სტრასბურგში.

- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმი ევროსაბჭოს პოლიტიკური პლატფორმის (PLATFORMA) ფარგლებში**

თამარ ტალიაშვილი, ქალაქ ვილნიუსში თანამშრომლობის განვითარების პანელზე - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პრიორიტეტები და თანამშრომლობის შესაძლებლობები“ მოხსენებით გამოვიდა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG 2030) მიღწევის გამოწვევებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გამოცდილებაზე ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა ევროკავშირისა და სამეზობლო ქვეყნებთან დეცენტრალიზებული თანამშრომლობით საქართველოში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებს.

თამარ ტალიაშვილმა საქართველოში თბილისის მაგალითზე, გატარებული რეფორმებისა და პროექტების წარმატებით განხორციელებაში ევროპულ საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის როლს გაუსვა ხაზი, მათ შორის, ისეთი ინიციატივების, როგორიც არის: ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემები (ITC), დედაქალაქის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა (SUMP), მუნიციპალური ნარჩენების მენეჯმენტი, ტყის განახლება და კუს ტბისა და მთაწმინდის განვითარება, საცხოვრებლად ღირებული / მისაღები ქალაქები (Livable Cities), სამოქალაქო ჩართულობის პლატფორმა, ღია მმართველობის პროგრამა (OGP) და სტარტაპ ბიზნესის ხელშემწყობი აქსელერატორი - „სპარკი“. ასევე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) მიერ კოორდინირებული პროექტის - განვითარებისა და ეფექტიანობის ქსელი (N4ED). გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის თანამშრომლობის პროგრამის პროექტზე - ,,მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა - შავი ზღვის აუზის განვითარების საფუძვლები“.

თამარ ტალიაშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო ფორუმის ფარგლებში გამართულ ვორქშოპში, სადაც ფორუმის მონაწილეებს ევროსაბჭოს კონგრესის როლი და ამოცანები გააცნო, ასევე ისაუბრა ადგილობრივ თვითმმართველობათა ევროპული ქარტიის პრინციპების კორელაციაზე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებასთან.

ამავე პანელში მონაწილეობას იღებდა EBRD-ის კლიმატის ცვლილებების ვიცე-დირექტორი ნაიჯელ იოლანდი, რომელმაც საქართველოსთან წარმატებული თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტები შეაფასა, როგორც რეგიონში ეფექტური თანამშრომლობის ყველაზე წარმატებული მაგალითი. ასევე, ევრო-კომისიის სამეზობლოს ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელმა - ოაბინ აჯენინმა - წარმატებულად შეაფასა ის დინამიკა, რომელსაც საქართველომ სამეზობლოს გაფართოების პროგრამის ფარგლებში მიაღწია.

PLATFORMA-ს წარმომადგენელმა ოლივიე ბაუმარდმა მადლობა გადაუხადა თამარ ტალიაშვილსა და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას (ათეა)საქართველოს პირველი მუნიციპალიტეტების მიერ ევროპის ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ქარტიის ხელმოწერის ძალისხმევისთვის და ხაზი გაუსვა ამ ნაბიჯის მნიშვნელობას საქართველოს მიერ გაეროს მდგრადი განვითარების (SDG 2030) მეხუთე - თანასწორობის - მიზნის მიღწევის ინდექსისათვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზღვისუბნის (თემქა) მაჟორიტარი დეპუტატის - თამარ ტალიაშვილის მიერ 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის, ზღვისუბნის (თემქა) მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში (ოფისში), რომელიც მდებარეობს ზღვისუბნის (თემქა) X კვარტლის N25 კორპუსის მე-2 სართულზე, მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

წარმომადგენლობა, მოსახლეობისა და მაჟორიტარის შეხვედრებს უწევს ორგანიზებას, რომელზეც ხდება მოქალაქეთა საჭიროებების ჩანიშვნა, სისტემატიზაცია და შესაბამის უწყებებში წარდგენა.

საანგარიშო პერიოდში, მაჟორიტარისა და მისი წარმომადგენლობის მიერ, კონსულტაცია გაეწია დაახლოებით 1500-ზე მეტ მოქალაქეს და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობა.

წარმომადგენლობის მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა, ზღვისუბნის (თემქა) პროექტული მართვის რუკა. სამუშაო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას იძლევა თვალსაჩინო გახდეს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, ასევე პროექტული მართვის რუკით გამარტივდა მოცულობითი საქმის ეფექტიანი მართვა და მონიტორინგი.

საქალაქო მნიშვნელობის „ზღვისუბნის პარკი“

მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნა „თემქის ხევის“ საკითხის მოგვარება წარმოადგენს, რაზეც დეპუტატთან მომართვიანობის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შედეგად, დეპუტატის ძალისხმევითა და წარმომადგენლობის კოორდინირებული მუშაობით, თბილისის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ითვალისწინებს თბილისის ზღვისუბანში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობას, ე.წ. ,,თემქის ხევი“-ს ადგილზე. თემქის ხევი, წლების განმავლობაში, წარმოადგენდა საშიშროებას მოსახლეობისთვის მწერებისა და ქვეწარმავლების მხრივ და ზრდიდა ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხეს. საკითხის გადაჭრისა და პრობლემის დაძლევის მიზნით, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია არაერთ აქტივობასა და შეხვედრას, მათ შორის:

საკითხისა და მიმდინარე პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მოქალაქეებისთვის საჯარო პრეზენტაციას, რომელზეც წარმოდგენილი იყო კვლევითი ორგანიზაცია „გამა კონსალტინგის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. შეხვედრაში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოეწყო, მონაწილეობას იღებდნენ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზღვისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, თამარ ტალიაშვილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მაია ბითაძე, მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი, გიგა გიგაშვილი და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი, ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე და მისი მოადგილე, ასევე საკრებულოს დეპუტატები, ზღვისუბნის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები, ადგილობრივი ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

აღნიშნულ შეხვედრაზე, პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მაჟორიტარმა დეპუტატმა დაანონსა ზღვისუბნის სახელის პოპულარიზაციის კამპანიის დაწყება, რასაც ორგანიზებას წარმომადგენლობა გაუწევს. აღნიშნული ინიციატივა საზოგადოებაში „თემქის“ სახელწოდების ნაცვლად „ზღვისუბნის“ სახელის დამკვიდრებას გულისხმობს. რადგან თბილისის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ოლქის დასახელება „თემქა“ არის აბრევიატურა ქარხნის სახელწოდებისა: „თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ქარხანამ პირვანდელი ფუნქცია დაკარგა და დასახლებას 1999 წლიდან ოფიციალურად „ზღვისუბანი“ ეწოდა.

მაჟორიტარის ინიციატივით ეტაპობრივად სამუშაო შეხვედრები იმართება ზღვისუბნის პარკის პროექტთან დაკავშირებით.

ახალი საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი ზღვისუბანში

წარმომადგენლობაში მოქალაქეების მიერ დაფიქსირებული საჭიროების - დასახლებაში არსებულ საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღების გადატვირთულობის - შედეგად, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, ზღვისუბანის (თემქა) III მ/რ-ში, კიდევ ერთი ახალი ბაღი აშენდება. საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გათვალისწინებით, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მაჟორიტარის, თამარ ტალიაშვილისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, ზღვისუბნის

მუნიციპალიტეტის, ნაძალადევის გამგეობის წარმომადგენლობისა და მოსახლეობასთან ერთად შერჩეული ტერიტორიის ადგილზე მონახულებას. ბაღის შენობის პროექტი უახლოეს პერიოდში მომზადდება და ის თანამედროვე სტანდარტებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული იქნება.

კეთილმოწყობის სამუშაოები ზღვისუბანში

მაჟორიტარის შუამდგომლობით ზღვისუბანში ირემაშვილის N1 მცხოვრებ 50-მდე სოციალურად დაუცველ და იძულებით გადაადგილებულ ოჯახს საკანალიზაციო სისტემის არსებული პრობლემის მოგვარება მიმდინარეობს. აღნიშნულ მისამართზე არსებობდა მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც ბინძურდებოდა სასმელი წყალი და ქმნიდა ჯანმთელობისთვის საშიშ მდგომარეობას.

ზღვისუბანში, სკვერებისა და საჯარო სივრცეების მოწყობისთვის, მაჟორიტარი თავის წარმომადგენლობასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ მცხოვრებლებთან ადგილების შერჩევის მიზნით, ისე მუნიციპალიტეტსა და ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, შედეგად:

მოეწყო სკვერი ზღვისუბნის X კვ. N36 ,,ა“ კორპუსის მიმდებარედ;

მიმდინარეობს ჩარგლისა და ანაპის ქუჩების კვეთაზე ახალი სკვერის მოწყობა, რომელსაც წარმომადგენლობის მიერ მომზადებული შუამდგომლობის შედეგად, სამშენებლო კომპანია ,,რივა“ ნაძალადევის რაიონის გამგეობაში ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე ახორციელებს. აღნიშნული სკვერის მოწყობა დაწყებულია, 3 200 კვ/მ ფართობზე, სადაც დამონტაჟდება ტრენაჟორები, საბავშვო ატრაქციონები და მოსასვენებელი სკამები.

ზღვისუბნის X კვარტალში N25 კორპ. მიმდებარედ, N22 საბავშვო ბაგა-ბაღთან მიმდინარეობს სკვერის მოწყობითი სამუშაოები, რომელიც მოიცავს საბავშვო ატრაქციონებს, საკალათბურთო და საფეხბურთო მოედნებს.

მოეწყო საბავშვო ატრაქციონები შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N33-34 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. I კვ. N68 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის IV მ/რ. N8 კორპ. N59-ე ბაღის მიმდებარედ;

- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N24 და N29 კორპუსების მიმდებარედ.
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. N29 კორპ. მიმდებარედ;

ზღვისუბნის IV მ/რ. N5 კორპ. მიმდებარედ დაპროექტდა სკვერის მოწყობითი სამუშაოები.

დაგეგმილია სკვერის მოწყობა სადრენაჟე სისტემით ზღვისუბნის XI მ/რ. III კვ. N50 კორპ. მიმდებარედ.

ასევე შემდეგ მისამართებზე დაგეგმილია ახალი საბავშვო ატრაქციონების მოწყობა:

- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N21 ,,ა" კორპუსის (არაშენდა);
- ✓ ზღვისუბნის IV კვ. N1 და N2 კორპუსების მიმდებარედ;

ზღვისუბანში დამონტაჟდა 60 საპარკე სკამი.

ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- ✓ ზღვისუბნის IV მ/რ. N6 კორპ. მიმდებარედ, ჩატარდა ძველი/ამორტიზირებული ატრაქციონების დემონტაჟი და გატანის სამუშაოები;
- ✓ ზღვისუბნის X ,,ა" კვ. N41 კორპ. მიმდებარედ მოეწყო საპარკე ღობე;
- ✓ ზღვისუბნის X კვ. N24 კორპ. მიმდებარედ მოეწყო საპარკე ღობე.

ზღვისუბნის IV მ/რ. მეწყერსაშიშ ზონაში მდებარე 3 თექვსმეტსართულიანი კორპუსის პრობლემასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობა იმყოფებოდა მოსახლეობასთან შეხვედრაზე დედაქალაქის მერთან კახა კალაძესა და მის მოადგილესთან ირაკლი ბენდელიანთან ერთად.

მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად იყო ჩართული ზღვისუბნის IX კვ. N23 კორპუსთან 5 კუბურამდე მეტრი მიწის ჩამოშლის საკითხის მოგვარებაში. მოსახლეობასა და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცით მომზადდა შუამდგომლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილისადმი, საკითხის კომპლექსურად შესწავლილის მიმართვით, რაც არა მხოლოდ ზღვისუბნის IX კვ. N23-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გამოკვლევას, არამედ IX კვ. N23 ,,ა" , გურამიშვილის N41 ,,გ" და ,,თ" კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების გამოკვლევასაც გულისხმობდა.

გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორები მოწყობის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. III კვ. N48 კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. I კვ. N13 კორპუსის მიმდებარედ;

ზღვისუბნის IV მ/რ. N6 და N7 კორპუსებთან რეაბილიტირებულ იქნა სპორტული მოედანი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო გალვანიზირებული ლითონის ბადეები, კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და დაიგო ხელოვნური მწვანე საფარი, ასევე მოეწყო გარე განათება, აღნიშნული სპორტული სტადიონის მოწყობას წლების განმავლობაში ითხოვდა მოსახლეობა;

- ✓ რეაბილიტირებულ იქნა ზღვისუბნის X კვ. N42 კორპუსის მიმდებარედ სპორტული მოედანი;
- ✓ ზღვისუბნის IV კვ. N6 და N7 კორპუსების მიმდებარედ მოეწყო სპორტული მოედანი;

ზღვისუბნის ეკოლოგიური გაუმჯობესებისა და გამწვანებისთვის, წარმომადგენლობის ორგანიზებით საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, მათ შორის:

მომზადებული შუამდგომლობის საფუძველზე, ზღვისუბანში დაახლობით, 10 000 კვ.მ ფართობზე მოითიბა ბალახი. ზღვისუბნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სეზონზე მოსახლეობის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი მომართვიანობა ფიქსირდება. წარმომადგენლობის აქტიური თანამშრომლობით, ცხოველთა მონიტორინგის სამსახურში სიტყვიერი შუამდგომლობის საფუძველზე შეიწამლა ტერიტორიები ქვეწარმავლების საშიშროებიდან გამომდინარე.

მაჟორიტარის შუამდგომლობით, ზღვისუბანში ახლადაღდგენილ სპორტულ მოედანს აფხაზეთის ომის ახლგაზრდა გმირის ლევან შათირიშვილის სახელი მიენიჭა.

წარმომადგენლობის ორგანიზებით თბილისის ზღვაზე მოეწყო სანაპირო ზოლის დასუფთავების აქცია, რომელიც მაჟორიტარი დეპუტატის, თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მიხეილ ამაშუკელის წარმომადგენლობასა და მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარდა. აქციის ფარგლებში ქალაქ თბილისის მერიის ,,ეკოსერვის ჯგუფთან", ზღვისუბნის და ნაძალადევის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ნაგვისა და ნარჩენებისგან გასუფთავდა სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელიც თბილისის ტურისტული, რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი სივრცეა.

აქცია ,,როცა სპორტი ცვლის სამყაროს“ ფარგლებში ზღვისუბნის N154 და გლდანის N173 საჯარო სკოლებს შორის გაიმართა საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელსაც ესწრებოდა მაჟორიტარის წარმომადგენლობის თანამშრომლები.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად თანამშრომლობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებთან მუნიციპალური პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის. ზღვისუბანი გამოირჩევა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობით, რაც 260-ს აჭარბებს. საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობის კონსულტაციითა და ზეპირსიტყვიერი შუამდგომლობით, ნაძალადევის რაიონის გამგეობიდან თანადაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ წყალ-კანალიზაციის მილების შეიცვალა 12 კორპუსში;
- ✓ ბრტყელი და ქანობრივი სახურავით გადაიხურა 12 კორპუსი;
- ✓ წყალსაწრეტი მილები შეიცვალა 12 კორპუსში;
- ✓ სენსორული განათება დამონტაჟდა 6 კორპუსში;
- ✓ ლიფტი დამონტაჟდა 8 კორპუსში.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ზღვისუბნის საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, დეპუტატი აქტიურად თანამშრომლობს ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახურთან. შედეგად ზღვისუბანში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

მოსახლეობის მომართვიანობის შედეგად ზღვისუბანს N95 ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი ავტობუსები ემსახურება, N3 კი უახლოეს მომავალში დაიწყებს მგზავრთა გადაყვანას.

გარდა ამისა, წარმომადგენლობის მიერ მომზადებული წერილობითი და სიტყვიერი შუამდგომლობის შედეგად, სხვადასხვა ტიპის საგზაო სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. მდებარე ახალ კორპუსებსა და N142 სკოლას შორის (ნიშნიანიძის ქუჩა N25, N27);
- ✓ ზღვისუბნის X კვ. N28 კორპუსის უკან;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. I კვ. N21 ,,ა“ კორპუსი (არაშენდა);
- ✓ ზღვისუბნის N142 სკოლასთან მოეწყო საფეხმავლო ბილიკი;
- ✓ ზღვისუბანი XI მ/რ. III კვ. N54 ,,ა“ კორპუსის ეზოს ფრაგმენტული შეკეთება;
- ✓ ზღვისუბანი XI მ/რ. I კვ. N7 კორპუსის ეზოს ფრაგმენტული შეკეთება;
- ✓ ზღვისუბნის მონადირის ქუჩის პირველი შესახვევში;
- ✓ ზღვისუბანის XI მ/რ. I კვ. N2 და N3 კორპუსების მიმდებარედ (ფრაგმენტული შეკეთება).

წარმომადგენლობის ორგანიზებით, მაჟორიტარი დეპუტატი ადგილზე ეცნობა მიმდინარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, შედეგად მაჟორიტარმა მოინახულა შემდეგი ობიექტები:

✓ზღვისუბანში XI მ/რ. I კვ. N20 ,,ბ“ კორპუსთან ბიჭვინთის ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მიმდებარედ, საყრდენი კედლის გამაგრების, გზის, ბორდიულისა და ტროტუარის დაგების სამუშაოები;

✓გზის საფარის მოწყობითი სამუშაოები ზღვისუბნის დ. ნიშნიანიძის N35 მდებარე დევნილთა დასახლებაში, სადაც 2 400 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი. აღნიშნულ მისამართზე 90 ოჯახი ცხოვრობს და შემოგარენში სულ მცირე 10-მდე კორპუსს ექნება კეთილმოწყობილი ეზოთი სარგებლობის შესაძლებლობა.

წარმომადგენლობის მიერ მომზადებული შუამდგომლობის საფუძველზე, ზღვისუბნის მე-11 მ/რ. 1 კვ. N10-13 კორპუსების უკან, დამონტაჟდა გარე განათების ბოძები.

მაჟორიტარის ინიციატივით დაიხაზა ახალი საფეხმავლო გადასასვლელი სარაჯიშვილის მეტროდან ზღვისუბანში ამავალ გზაზე.

შეიქმნა ზღვისუბანში არსებული საყრდენი კედლების პროექტი შემდეგ მისმართებზე:

- ✓ ზღვისუბანის III მ/რ. II კვ. N52; N53; N54 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის ავშნის ქ. N 108/88 მიმებარედ;
- ✓ ზღვისუბნის ანაპის ქ. ბავშვთა პედიატრიულ კლინიკასთან.

დაიწერა გზის დეფექტური აქტები შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ზღვისუბნის X ,,ბ“ კვ. N6 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N34 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N20 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. N33 კორპ. ეზო;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N39 კორპ. ეზო;
- ✓ ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. N26 და N27 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის XI მ/რ. I კვ. N10 კორპ. მიმდებარედ;
- ✓ ზღვისუბნის X ,,ბ“ კვ. N4 და N5 კორპ. მიმდებარედ.

კორპუსებსა და სატრანპორტო კვანძზე ჩამოსასვლელი კიბეების/მოაჯირების რეაბილიტაცია/მოწყობა:

✓ დასრულებულია ზღვისუბნის III მ/რ. II კვ. N28 კორპუსის მიმდებარედ ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობა;

✓ დასრულებულია ზღვისუბნის XI მ/რ. II კვ. N36 ,,ა“ კორპ. მიმდებარედ კიბის მოაჯირის შეკეთება;

✓ დასრულებულია ზღვისუბნის IV მ/რ. N9 ,,ა“ კორპ. მიმდებარედ კიბისა და მოაჯირის მოწყობითი სამუშაოები;

✓ დასრულებულია ზღვისუბნის IV მ/რ. N11 კორპ. უკან (სკვერდიან ეკლესიამდე) კიბისა და მოაჯირის მოწყობითი სამუშაოები;

✓ დასრულებულია ზღვისუბნის ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, ,,პრივატკლინიკის მიმდებარედ;

წლის განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორებით დაზიანებული კორპუსების სახურავები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებდა, მომზადდა პროექტები შემდეგ მისმართებზე:

- ✓ ზღვისუბანი XI მ/რ. III კვ. N45 კორპ.;
- ✓ ზღვისუბანი IV კვ. N2 კორპ. ბინა N34;
- ✓ ზღვისუბანი X ,,ბ“ კვ. N3 კორპ.
- ✓ ზღვისუბანი IX კვ. N21 კორპ. მე-4 სადარბაზო;
- ✓ ზღვისუბანი XI მ/რ. II კვ. N38 ,,ა“ კორპ.

მოხდა სანიაღვრე ქსელის პროექტირება, ზღვისუბანი ფირცხალავას ქუჩის დარჩენილ ნაწილზე;

დამთავრდა სანიაღვრე ქსელის მოწყობა, ზღვისუბანი XI მ/რ. IIIკვ. N58 კორპუსის (სპორტული კომპლექსის) მიმდებარედ,

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წარმომადგენლობა, თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა მხარდაჭერას, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების მოგვარების მიზნით მოგვმართავენ, რისთვისაც კოორდინირებულად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა, თუ ამ სფეროს სპეციალისტებთან.

საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობამ დააყენა 100-ზე მეტი შუამდგომლობა სამედიცინო გამოკვლევასთან, მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებულია.

წარმომადგენლობამ მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მოინახულა ზღვისუბანში (თემქა) ახლად გახსნილი კლინიკა ,,ჯერარსი'', რომელიც მოსახლეობას მრავალპროფილურ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. ახალი კლინიკის გახსნა დამატებით სამუშაო ადგილებსაც უზრუნველყოფს.

წარმომადგენლობის ორგანიზებით, მაჟორიტარი დეპუტატი შეხვდა ზღვისუბნის III მ/რ. V კვ. N6 კორპუსის მცხოვრებლებს, სადაც მოხდა აფეთქება (გაზის გაჟონვა) და სავადმყოფოშიც მოინახულა დაზარალებული მოქალაქე.

სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან სოციალური მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიღების თხოვნით, წარმომადგენლობაში მოსულ ათობით მოქალაქეს გაეწიათ კონსულტაცია სოციალური კრიტერიუმების შესახებ. მოქალაქეთა მხრიდან მაღალია მომართვიანობა ქირით უზრუნველყოფის, უფასო სასადილოებით სარგებლობისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის თაობაზე.

აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, მაჟორიტარს და მის წარმომადგენლობას აქვს პარტნიორული და აქტიური თანამშრომლობა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ნაძალადევის გამგეობასთან, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის შესაბამის საქალაქო სამსახურთან.

მაჟორიტარის ინიციატივით, ორგანიზაცია ,,ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალთან" თანამშრომლობით 50-მდე ზღვისუბანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, დევნილ და ვეტერანთა ოჯახებს, ასევე ზღვისუბნანში მდებარე სკოლის პედაგოგებს მრავალპროფილურ კლინიკა ,,ვივამედში" ჩაუტარდათ უფასო სტაციონალური, ამბოლატორიული და ოპერაციული მკურნალობა.

თბილისის საკრებულოს ზღვისუბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა ზღვისუბანში მცხოვრები ავტოავარიის შედეგად დაზარალებული მოზარდი მოინახულა და პირადი საჩუქრები გადასცა.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიებები

განათლების, კულტურისა და სპორტულ-ახალგაზრდული აქტივობების ხელშეწყობის მიზნით, დეპუტატი აქტიურად თანამშრომლობს ზღვისუბანში მდებარე დაწესებულებებთან.

წელს უკვე მეორედ, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მაჟორიტარის ინიციატივით, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია ზღვისუბნში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების ჩართულობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის პროექტში „თბილისის მუზეუმების კვირეული", რომლის ფარგლებშიც 25 მოსწავლე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში იმყოფებოდა. პროექტის მიზანია მუზეუმების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მათი ჩართვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობებში. პროექტი თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება. კვირეულის ფარგლებში, საკრებულოს 24 მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობით, 500-მდე მოსწავლე, თბილისის ათივე რაიონიდან მუზეუმებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთო.

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივითა და წარმომადგენლობის ორგანიზებით, ზღვისუბანში მდებარე N143 საჯარო სკოლის მოსწავლეები ჩაერთვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პროექტში ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს", რის ფარგლებშიც მოსწავლეებსა და სკოლაში სტუმრად მისულ ცნობილ სპორტსმენებს შორის ფრენბურთის ამხანაგური მატჩი მოეწყო. პროექტში კალათბურთელი ანატოლი ბოისა და ფრენბურთელები: გიორგი ივანიშვილი, მარია ცარენკო და იოსებ ლობჟანიძე იღებდნენ მონაწილეობას, რომლებიც მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ და საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

წარმომადგენლობა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქტივობებს, რისთვისაც შეისწავლის ზღვისუბანში მცხოვრები თითოეული შეჭირვებული ოჯახის მდგომარეობასა და საჭიროებებს. შესაბამისად, იგეგმება აქტივობები სხვადასხვა შეჭირვებული და მრავალშვილიან ოჯახების დასახმარებლად.

საქველმოქმედო გამოფენა ,,ბავშვები ბავშვებისთვის", რომელიც თამარ ტალიაშვილისა და სოფიო კილაძის ინიციატივით გაიმართა. წარმომადგენლობის ორგანიზებით, აღნიშნულ ღონისძიებაში ზღვისუბნის ყველა საჯარო სკოლა მონაწილეობდა. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ და შეეძინათ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიერ თანატოლების დასახმარებლად შექმნილი ნამუშევრები.

მაჟორიტარის ინიციატივით, წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მაჟორიტარის ჩართულობას აქციაში ,,აჩუქე წიგნი", რომლის ფარგლებში ზღვისუბნის (თემქა) მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს წიგნები გადაეცა და მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ისტორიული შენობა დაათვალიერეს.

ზღვისუბანში 21 ივლისს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფესტივალი ,,თბილისის ცის ქვეშ" გაიმართა, სადაც მომღერალმა ზუკა ხუციშვილმა თავის ბენდთან ერთად ქართული და უცხოური მუსიკალური ნომრები შეასრულა, ასევე დიჯეი პაპასკირის გუნდმა იზრუნა მსმენელთა განწყობაზე.

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით ზღვისუბანი სთრითარტის საერთაშორისო ფესტივალში ჩაერთო. სთრითარტი არის სწორედ თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება, რომელიც გადის ქუჩაში და ხელოვნებასა და

ყოველდღიურობას აახლოვებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოიხატა ზღვისუბნის XI მ/რ. III კვ. N50 კორპუსი.

თბილისის საკრებულოს ზღვისუბნის მაჟორიტარის, განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატვით, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში პროექტი ,,ჩვენი ეზოს თამაშები“ წელს მეორედ გაიმართა. კამპანიური ხასიათის პროექტის მიზანი კომპიუტერული თამაშების ჯანსაღი, ხალისიანი ეზოს თამაშებით ჩანაცვლება, ჯაბნსაღი ცხოცრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდების ფიზიკურ-ემოციური, ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაა. ღონისძიებების ფარგლებში მოზარდები ინსტრუქტორებთან და ანიმატორებთან ერთად ეზოს თამაშებს თამაშობენ. პროექტის ფარგლებსი ფოტო გამოფენაც მოეწყო. ზღვისუბანში აღნიშნული პროექტი ჩატარდა ახალ რეაბილიტირებულ სპორტულ მოედანზე (IV მ/რ. N6 კორპ. მიმდებარედ).

წარმომადგენლობის ორგანიზებით, მაჟორიტარმა, თამარ ტალიაშვილმა, მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

ზღვისუბნის N113-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელების მშობლებთან ერთად ბაღის ერთი წლის ანგარიშის საჯარო განხილვა;

,,ბოლო ზარის ზეიმი“, რომელიც წელს პირველად ჩატარდა ზღვისუბანში. მასში მონაწილეობა მიიღო ნაძალადევის რაიონის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლემ.

მაჟორიტარმა დეპუტატმა და ნაძალადევის გამგებელის მოადგილემ, ბატონმა ნიკოლოზ კანდელაკმა ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა ზღვისუბანში მცხოვრებ 94 წლის ომის ვეტერანს ქალბატონ ლილი რომანოვს;

1 ივნისს, ,,ბავშვთა დაცვის დღის“ ღონისძიება, რომელიც წელს პირველად ზღვისუბანში მოეწყო. მასში მონაწილეობა მიიღეს ნაძალადევის რაიონის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა;

მაჟორიტარი დეპუტატი ესწრებოდა ზღვისუბანში ,,თბილისობის“ კონცერტს, რომელიც ნაძალდევის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით გაიმართა.

მაჟორიტარმა მონაწილეობა მიიღო იაკობ გოგებაშვილის ,,დედა ენის“ სკოლებში დაბრუნებისადმი გამართულ ღონისძეიბაში და მადლობა გადაუხადა ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

მაჟორიტარის ინიციატივით კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც წარმომადგენლობამ მარტოხელა მრავალშვილიანი დედა მოინახულა და ნობათი გადასცა.

მაჟორიტარის შუამდგომლობით მიმდინარეობს ზღვისუბნის III მ/რ. V კვ. ისაკიანის ქუჩა N4 (ყოფილი საქვაბე) მცხოვრებ 60-მდე სოციალურად დაუცველ და დევნილ ოჯახებში დენისა და ბუნებრივი აირის შეყვანის პროცედურები.

კავკასიის უნივერსიტეტში დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა ზღვისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი. ფორუმის ძირითადი სამიზნე ჯგუფი ზღვისუბანში მცხოვრები სამუშაოს მაძიებლები წარმოადგენდნენ.